ციფრული მედიის გავლენა თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის აღქმასა და ეფექტურობაზე საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცის პოლიტიკის და მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის,ტექნოლოგიის და განათლების მართვა

მიმართულება: ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

სტუდენტი: თამთა ჯოხარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა ჯოხარიძე

4 ივნისი, 2026

აბსტრაქტი

დაინტერესება ციფრული მედიის გავლენით საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და ქცევით ცვლილებებზე ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა, რაც განპირობებულია სოციალური მედიის ფართო გავრცელებითა და ჯანმრთელობის კომუნიკაციის თანამედროვე ფორმების განვითარებით. აღნიშნულმა კვლევამ შეისწავლა კავშირი ციფრული მედიის ექსპოზიციას, თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის აღქმასა და მოწევასთან დაკავშირებულ ქცევით დამოკიდებულებებს შორის საქართველოში. გამოყენებული იყო კორელაციური და რეგრესიული ანალიზი, ასევე მედიაციის მოდელი, 317 რესპონდენტის მონაცემებზე დაყრდნობით. შედეგებმა აჩვენა, რომ ციფრული მედიის გამოყენება დადებითად და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უკავშირდება მოწევასთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებსა და ქცევებს. ასევე დადგინდა, რომ თამბაქოსთან დაკავშირებული ცოდნა და პოლიტიკის აღქმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქცევით შედეგებზე, თუმცა ციფრული მედიის პირდაპირი გავლენა ცოდნასა და პოლიტიკის აღქმაზე სუსტი აღმოჩნდა. მედიაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ცოდნა და პოლიტიკის აღქმა ნაწილობრივ ასრულებს მედიატორულ როლს ციფრულ მედიასა და მოწევასთან დაკავშირებულ ქცევებს შორის. კვლევა ხაზს უსვამს ციფრული მედიის, ჯანმრთელობის კომუნიკაციისა და თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ურთიერთკავშირის სიღრმისეულად შესწავლის საჭიროებას, განსაკუთრებით ახალგაზრდულ პოპულაციებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ციფრული მედია, თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა, ჯანმრთელობის კომუნიკაცია, სოციალური მედია, მოწევის ქცევა, ანტი-თამბაქოს კამპანიები.

Abstract

Interest in the impact of digital media on public health and behavioral change has increased significantly in recent years, driven by the widespread use of social media and the development of modern forms of health communication. The present study examined the relationship between digital media exposure, perceptions of tobacco control policy, and smoking-related behavioral attitudes in Georgia. Correlation and regression analyses, as well as a mediation model, were used based on data collected from 317 respondents. The results showed that the use of digital media was positively and statistically significantly associated with smoking-related attitudes and behaviors. It was also found that tobacco-related knowledge and perceptions of tobacco control policy had a significant impact on behavioral outcomes; however, the direct effect of digital media on knowledge and policy perception was weak. Mediation analysis revealed that knowledge and policy perception partially played a mediating role in the relationship between digital media and smoking-related behaviors. The study highlights the need for an in-depth examination of the interrelationship between digital media, health communication, and tobacco control policy, particularly among young populations.

Keywords: digital media, tobacco control policy, health communication, social media, smoking behavior, anti-tobacco campaigns.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მზადების პროცესში გაწეული მხარდაჭერისა და პროფესიული ხელმძღვანელობისთვის გულწრფელი მადლობის გადახდა მსურს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ქეთევან გოგინაშვილისათვის. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის განვითარებაში, აქტიურად იყო ჩართული კვლევისა და წერითი სამუშაოების ყველა ეტაპზე. მის გარეშე ამ ნაშრომის საბოლოო სახით წარმოდგენა ნამდვილად რთული იქნებოდა.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო იმ რესპონდენტების მიმართაც, რომლებიც გულწრფელად ჩაერთვნენ კვლევაში. მათი თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია საფუძვლად დაედო ნაშრომის ანალიტიკურ ნაწილს და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შედეგებს.